მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N17
26 დეკემბერი 2024 წ.

დაბა მესტია

,,მესტიის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 ივნისის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

,,მესტიის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 ივნისის №28 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/06/2018, სარეგისტრაციო კოდი:010250050.35.103.016291) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული:

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-4 მუხლს დაემატოს „თ“ და ,,ი“ პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,თ) მესტიის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის ფარგლებში (შემდგომში „პროგრამა“) „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტისა და 37-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ „პერსონალური ასისტენტის მომსახურების ქვეპროგრამის შესაბამისად განიხილოს პერსონალური ასისტენტის მომსახურების მოთხოვნით შემოსული განცხადებები.

ი) ხელი შეუწყოს მესტიის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის ფარგლებში (შემდგომში „პროგრამა“) პროგრამით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად სახელმწიფოსგან დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში მომსახურების მიმღები პირისთვის პერსონალური ასისტენტის სერვისის მიწოდება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მომსახურების მიმღებთა მიერ ინდივიდუალურ საჭიროებებზე, ფუნქციურ შესაძლებლობებსა და მოთხოვნებზე მორგებული მომსახურების მიღება, ხელი შეუწყოს მათ საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის განხორციელებაში, დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდასა და სოციალურ აქტივობაში.“

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-5 მუხლის ,,ნ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ნ) განიხილოს მესტიის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის ფარგლებში, განმცხადებლის პროგრამაში ჩართვის საკითხი განცხადების, თანდართული დოკუმენტების, შეფასების ფორმის/დასკვნის საფუძველზე და მიზნობრივი ტრანსფერის სახით პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსის გათვალისწინებით, მიიღოს გადაწყვეტილებას მომსახურების მაძიებელი პირის პროგრამაში ჩართვის ან პროგრამაში ჩართვაზე უარის შესახებ. მიღებული გადაწყვეტილება ეცნობება მომსახურების მაძიებელს.“

3. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-5 მუხლს დაემატოს ,,ო“ პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ო) სხვა ფუნქციების განხორციელება საბჭოს კომპეტენციიდან და საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე .“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე	**მაიზერ ჯაფარიძე**